

რადოსლავ პაჩოხა

ბ ე ნ ი ა მ ი ნ ი



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

2010

გამოცემა მომზადებულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მიერ პიესის მსოფლიო პრემიერისთვის საქართველოში.

რედაქტორი: თამარ კვიციანი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი.
კომპიუტერული უზრუნველყოფა: ქეთევან ღონღაძე

განსაკუთრებული მადლობა:

დავით საყვარელიძეს, გიგი თევზაძეს, ლევ კონჩაკს, ზაალ ჩიქობავას.

პროექტის განხორციელების ინიციატორია: ნიდერლანდების სამეფოს კულტურის საერთაშორისო ფონდი „კავკასია“.

მხარდამჭერები: პოლონეთის საელჩო საქართველოში, პოლონეთის ადამ მიცკევიჩის და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტები, რუსთაველის თეატრი.

© თარგმანი პოლონურიდან — ტომაშ ლეშჩინსკი და ლევან ხეთაგური 2010

ISBN 978-9941-18-020-0

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
ქაქუცა ჩოლოყაშვილის 3/5, თბილისი, 0162, საქართველო

ILIA STATE UNIVERSITY PRESS
3/5 Cholokashvili Ave, Tbilisi, 0162, Georgia

სარჩევი

წინათქმა	5
ბენიამინი	11
პროექტის შესახებ.....	128
შემოქმედებითი ჯგუფი	129
შთაბეჭდილებები რეპეტიციებიდან.....	140

რადოსლავ პაჩოხა თანამედროვე პოლონური თეატრის ერთ-ერთი საინტერესო ახალგაზრდა დრამატურგია. არის არაერთი პრემიის ლაურეატი. ამ პიესის თარგმანით და შემდეგ მისი რუსთაველის თეატრში განხორციელებით ქართულ-პოლონურ თეატრებს შორის თანამშრომლობის 26 წლიანი ინტერვალი განახლდა. ასეთი რამ უკანასკნელად 1984 წლის 28 სექტემბერს მოხდა, როდესაც მარჯანიშვილის თეატრში პოლონელმა რეჟისორმა ბოგდან ჰუსაკოვსკიმ თადეუშ რუჟევიჩის „კართოთეკა“ დადგა. ფფიქრობთ, რომ წარმოდგენილი პიესა საინტერესო იქნება არა მხოლოდ თეატრით დაინტერესებული აუდიტორიისთვის არამედ მკითხველთა ფართო წრისათვის.

წინათქმა

მითოსის სიცოცხლისუნარიანობა...

ხელოვნებაში არავინ აღარ კამათობს მითების, როგორც ერთ-ერთ პირველწყაროს, ადგილსა და მნიშვნელობაზე თანამედროვე შემოქმედთა ნაწარმოებებში. მითოსი უნიკალური რესურსია ინტერპრეტაციებისათვის. დღეს იგი ლამის მატრიცადაა ქცეული ანალიტიკოსთა და ინტელექტუალთათვის იმისათვის, რომ მათ წარსულზე იმსჯელონ და ყოველდღიურობა გააანალიზონ. მითოსი უნიკალური პარადიგმაა ცივილიზაციის ინტელექტუალური მემკვიდრეობისა, გონების ლაბირინთთა საკვლევად.

თეატრს მრავალი პარადიგმა აქვს, რომელსაც დასავლური ცივილიზაციის წიაღში ინახავს მაგალითად: ოიდიპოსი, მედეა, ჰამლეტი, ფაუსტი, დონ ჟუანი და მრავალი სხვა. მათ რიგშია მითი ლურჯწვერა რაინდის შესახებ.

რა იცის ქართველმა მაყურებელმა ლურჯწვერა რაინდის შესახებ?

ბევრი არაფერი. ამ ისტორიას ქართულ კულტურაში არანაირი ადგილი არ უკავია.

მცირე ისტორია ევროპული კულტურის ისტორიიდან

ლურჯწვერა ფრანგი მეზღაპრის შარლ პეროს ცნობილი ნაწარმოების გმირია /პირველად გამოჩნდა მის კრებულში „ჩემი დედილო ბატის ზღაპრები, ანუ გარდასულ დღეთა ზღაპრები შეგონებანით“, 1697წელი/. ამბავი შემდეგში მდგომარეობდა: იყო მდიდარი აზნაური — ადამიანი ლურჯი წვერით, რომელიც ყველას შიშს ჰგვრიდა და მისი ცოლობა არავის სურდა. ლურჯწვერასი ეშინოდათ, რადგანაც არავინ იცოდა თუ სად გაქრნენ ცოლები, რომლებიც ადრე ყავდა. მას, ბოლოს და ბოლოს, ცოლობაზე მემობლის ქალიშვილი დათანხმდა. ქალს აზნაურის სასახლის ყველა ოთახში შესვლის ნება მიეცა გარდა ქვედა ოთახებისა. ზღაპრებისთვის ჩვეული განვითარებით, გოგონას ცნობისმოყვარეობამ სძლია და ქმრის აკრძალვა დაარღვია. მან საიდუმლო ოთახებში რაინდის ცოლების ცხედრები აღმოაჩინა. მათ თურმე ერთმანეთის მიყოლებით ხოცავდა. ამის შემდეგ ქალს კაბაზე სისხლის ლაქა გაუჩნდა, რითაც სახლში დაბრუნებული ლურჯწვერა მიხვდა, რომ ცოლმა პირობა დაარღვია და საიდუმლო ოთახში შევიდა. ქმარმა მეუღლეს განუცხადა, რომ უნდა მოკვდეს. რაინდი მისთვის თავის მოჭრას ლამობდა, როდესაც ძმებმა მიუსწრეს და

ბოროტმოქმედი დაამარცხეს. მთელი სიმდიდრე დარჩება ლურჯწვერას ცოლს, რომელიც შემდეგში ღირსეულად გათხოვდება. ჩინებული ფინალია ზღაპრისათვის.

ზოგიერთი მკვლევარი პეროს ზღაპრებში ხედავდა ისტორიულ პიროვნებას — ბრეტონელ აზნაურს, მარშალ ჟილ დე ლავალს, რომელსაც მეტსახელად ლურჯწვერა ერქვა და 1440 წელს საკუთარი შვილების მკვლელობისათვის სიკვდილით დასაჯეს. ფოლკლორულ ჩანაწერებში სხვადასხვა პერსონაჟები ჩნდებოდნენ, მაგრამ მკვლევარები მიიჩნევენ, რომ ზღაპარში საკრალური მოტივები, ერთგვარი განდობის რიტუალი იკითხება (იგულისხმება ქორწინება). ამასთან, ხაზგასმულია საიდუმლო ოთახის მოტივიც. აკრძალულ საკუჭნაოზე ცნობილი მკვლევარი პროპიცი წერდა. თუმცა, აკრძალვის დარღვევის მოტივებს ვერც ქალების მხრიდან გამოვრიცხავთ — ისინი ხომ სწორედ ამის გამო ისჯებოდნენ, მაგრამ სხვათა დასჯა მოკვდავთ არ ეპატიებათ.

ლურჯწვერას, როგორც ბოროტმოქმედისა და ქალთა შემაცდენელის სახე ლიტერატურასა და ხელოვნებაში ინტერპრეტაციას განიცდიდა. ამ თემას მიმართავდნენ მ. მეტერლინკი /არიანა და ლურჯწვერა 1899/, ლ. ტიკი /ლურჯწვერა რაინდი და ლურჯწვერას შვიდი ცოლი, 1797/, ჟ. ოფენბახი

/ლურჯწვერა რაინდი 1866/, ბელა ბარტოკი /ოპერა ჰერცოგ ლურჯწვერას კოშკი 1911/, ალფრედ დიობლინი /ლურჯწვერა და მის ილმეზილი 1923/ და მრავალი სხვა.

ლურჯწვერა გერმანული ზღაპრების გმირიცაა. ამ რაინდთან დაკავშირებული სიუჟეტი 1812 წელს ძმები გრიმების კრებულშიც გამოქვეყნდა, საიდანაც მოგვიანებით პეროს ზღაპართან დამთხვევის გამო ამოიღეს. 1845 წელს სიუჟეტის საკუთარი ვერსია ლ. ბეხშტეინმაც გამოაქვეყნა. ორივე შემთხვევაში სიუჟეტის საფუძველი შარლ პეროს ზღაპარი /1697/ იყო.

აღნიშნულმა სიუჟეტმა ადგილი კინოშიც დაიმკვიდრა — ერნსტ ლიუბიჩის „ლურჯწვერას რვა ცოლი“ (1938), ჩარლი ჩაპლინის „მუსიე ვერდუ“ (1947), პეტერ რიუმკორფის „ლურჯწვერას უკანასკნელი მოგზაურობა“ (1983) და სხვა.

რა კავშირი აქვს წარმოდგენილ პროექტს ამ ისტორიასთან? პირდაპირი. ახალგაზრდა პოლონელი დრამატურგის პაჩოხას პიესა „ბენიამინი“ ლურჯწვერა რაინდის მითის თანამედროვე ინტერპრეტაცია. მისი დრამატურგიული ღირსებები უდავოა — მაღალი რიტმი, საინტერესო ფსიქოლოგიური მოტივაცია, ინფანტილური გმირის სინდისის ქეჩნა, როდესაც

მას ტრადიციული დრამატურგიისთვის დამახასიათებელი მსხვერპლთა სულების ნაცვლად ვირტუალური და კიბერსამყაროს ხატებები ევლინება. პიესის ეს ნაწილი რაღაცით შექსპირის „რიჩარდ მესამის“ ფინალური აქტის ბრძოლის წინ სულების გამოცხადების სცენას მაგონებს, ყოველშემთხვევაში მგონია, რომ შთაგონების წყაროდ გამოდგებოდა. მნიშვნელოვანია პაჩეხას გმირის მოტივაციაც — ის მეუღლეებს ფიცის გატეხვისთვის არ ხოცავს. ის მათ კლავს მაშინ, როდესაც მათ შორის მონყენილობა ისადგურებს. გამოსავალი კი სიცოცხლესთან განშორებაა, რადგან მონყენილობა სიკვდილით სრულდება. მონყენილობა, რომელსაც სიცარიელეში გადავყავართ. ჩვენ ვხოცავთ ადამიანებს ფიზიკურად და მორალურად, ცხადში და წარმოსახვაში.

ამის მიუხედავად, თემისი მარტივია — თანამედროვე ტექნოლოგიების სამყაროში, პოსტთეატრის ეპოქაში, ინფანტილური მანიერიზმისა და გლობალური გულგრილობის ფონზეც კი, დანაშაულს სასჯელი მოსდევს, დამნაშავემ პასუხი უნდა აგოს!!!

ზღაპრულ-მითოლოგიური ჭეშმარიტება უნდა აღსრულდეს — სიბოროტე უნდა დაისაჯოს!

მაშ ასე, პოლონელი დრამატურგის „ბენიამინით“ ქართულ სცენაზე ევ-

როპული ლეგენდის ლურჯწვერა რაინდის თანამედროვე ვერსია პირველად ცოცხლდება.

წინამდებარე გამოცემა, ქართული სასცენო ვარიანტისგან განსხვავებით, პიესის სრულ ვერსიას წარმოადგენს. თბილისში ამ პიესის მსოფლიო პრემიერა შედგა.

ლევან ხეთაგური

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ხელოვნების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი